სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა 30 ივნისი 2011 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

თეიმურაზ აბაშიძე	–	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი -კომისიის თავმჯდომარე;
ლერი ტყემალაძე	–	ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
სოფიო მამისაშვილი	–	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი;
მარინე სოხაშვილი	–	ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;
ილია ჯიშკარიანი	–	ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;
ზურაბ მარსაგიშვილი	–	ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;
გიორგი პაპაშვილი	–	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი;
ილია ციციშვილი	–	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

მერაბ თუხარელი	–	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;
ილია ოდიშელიძე	–	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 20 ივნისს გამოცხადებულ №105 (უნიკალური ნოემრი) კონკურსზე კონკურსანტების შპს „გზაპროექტის“ და ი/მ „გიორგი არდაზიანი“-ს მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის განხილვა შეფასება.

მოისმინეს:

სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის 2011 წლის 27 ივნისის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ შპს „გზაპროექტი“-ს და ი/მ „გიორგი არდაზიანი“-ს წარმომადგენლები, კომისიამ დაადგინა, რომ 2011 წლის 30 ივნისის 11^{00} საათამდე უნდა წარმოედგინათ:

შპს „გზაპროექტს“ უნდა წარმოდინა, მის მიერ წარმოდგენილ ესკიზურ პროექტზე, „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-დან ექსპერტიზის დასკვნა, ასევე, „გზაპროექტს“ პროექტის შედგენისას უნდა გაეთვალისწინებინა ის ხარვეზები, რის გამოც დაწუნებული იქნა 2011 წლის 08 ივნისს მცხეთის მუნიციპალიტეტსა და შპს “გზაპროექტი“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოდგენილი პროექტი და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო არ მოხდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ასევე კონკურსანტებს შპს „გზაპროექტს“ და ი/მ „გიორგი არდაზიანს“ უნდა მოეხდინათ პროექტის შეთანხმება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, კომისიის აღნიშნულ მოთხოვნებს დაეთანხმა ორივე კონკურსანტი, მაგრამ შპს „გზაპროექტი“ არ გამოცხადდა

კომისიის მიერ დადგენილ ვადაში და არც კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ წარმოადგინა.

ი/მ „გიორგი არდაზიანი“ გამოცხადდა კომისიის მიერ დადგენილ ვადაში, დაესწრო სხდომას და განაცხადა, რომ დასრულებულ პროექტში გათვალისწინებული იქნება კომისიის შენიშვნა, რომ ნაცვლად ორი დენის ტრანსფორმატორისა აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებული იქნება ერთი ახალი (დასამონტაჟებელი) სატრანსფორმატორო ქვესადგური.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა, რომ ი/მ "გიორგი არდაზიანი" გამოვლინდეს გამარჯვებულად და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: თ. აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ს. მამისაშვილი

კომისიის წევრები მ. სოხაშვილი

ი. ჯიშკარიანი

ზ. მარსაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე